

# მეცნიერება და ინოვაციები სპორტში

2026 წლის 9 მაისს, გაიმართა მასშტაბურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას: “მეცნიერება და ინოვაციები სპორტში (მშვილდოსნობა)”. ღონისძიება, რომელიც საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციისა და სპორტის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა, მიზნად ისახავდა ქართულ სპორტში თანამედროვე სამეცნიერო მიდგომების, ნეიროტექნოლოგიებისა და მონაცემებზე დაფუძნებული მენეჯმენტის დანერგვას.

ღონისძიების პარტნიორები: უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია (უსმა/USMA), ნეიროფსიქომოდულაციის ცენტრი, ბრაზილიური ჯიუ-ჯიტსუს ეროვნული ფედერაცია.

## სტრატეგიული პარტნიორობა და გახსნითი ნაწილი

კონფერენცია გახსნა მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, **სიმონ ნოზაძემ**, რომელმაც ხაზი გაუსვა სპორტული შედეგების მიღწევაში მეცნიერული ცოდნის გადამწყვეტ როლს.

მოდერატორებმა — სპორტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა, **მერაბ მეტრეველმა** და “უსმა/USMA“-ს თავჯდომარემ და ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, მეცნიერებათა დოქტორმა **ბესიკ ობოლაძემ** — წარადგინეს თანამშრომლობის ახალი პლატფორმა. ბესიკ ობოლაძემ ვრცლად ისაუბრა ფედერაციისა და უნივერსიტეტის ერთობლივ სტრატეგიაზე, სადაც მეცნიერება არა მხოლოდ თეორია, არამედ კონკრეტული პრაქტიკული შედეგის მომტანი ძალაა. აღნიშნა, რომ სპორტთან დაკავშირებული პროექტითაა “USMA/უსმა“-ში.

## განვითარების 7-წლიანი ხედვა და ციფრული ტრანსფორმაცია

კონფერენციის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი დაეთმო **ბესიკ ობოლაძის** მიერ წარმოდგენილ “საქართველოს მშვილდოსნობის განვითარების 7-წლიანი სტრატეგიას”. მომხსენებელმა, ფედერაციის ტექნიკურ მენეჯერთან, **ნიკა კაპანაძესთან** ერთად, ასევე წარადგინა ინოვაციური ციფრული პლატფორმა და ანალიტიკური ინსტრუმენტები, რაც ფედერაციას მონაცემთა ზუსტი აღრიცხვისა და მართვის საშუალებას აძლევს.

## აკადემიური რესურსი და ინოვაციური კვლევები

III ბლოკი დაეთმო დარგის ექსპერტებისა და პროფესორების მოხსენებებს:

- **მერაბ მეტრეველმა** ისაუბრა აკადემიური მხარდაჭერის მოდელებზე, გადამზადებასა და ექსპერტიზაზე.
- პროფესორმა **ნინო ქოჩაკიძემ** მიმოიხილა სპორტული სელექციის ზოგადი საფუძვლები.
- პროფესორმა **ქეთევან ბერიძემ** ყურადღება გაამახვილა სპორტსმენთა კვების აქტუალურ პრობლემებზე.
- პროფესორმა **გიორგი ზუბიტაშვილმა** წარადგინა ხედვა „მეცნიერება გამარჯვებებისთვის“, როგორც ქართული მშვილდოსნობის განვითარების ახალი გზა.

## ნეიროტექნოლოგიები და ეკონომიკური განზომილება

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ნეიროფსიქომოდულაციის ცენტრის წარმომადგენლების, **აზა მანთაშაშვილისა** და **გიორგი გოგაშვილის** მოხსენებამ. მათ ისაუბრეს ნეირომოდულაციის მნიშვნელობაზე მაღალი მიღწევების სპორტში და NPMT მეთოდოლოგიის უპირატესობებზე.

ამ თემას ეკონომიკური რაკურსით გამოეხმაურა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **დავით ობოლაძე**, რომელმაც გაანალიზა ნეიროტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტიანობა და სპორტული მიღწევების ეკონომიკური განზომილება.

ბლოკი დაასრულა **გიორგი ქართველიშვილმა**, რომელმაც წარმოადგინა მშვილდოსნობის ფედერაციის ინოვაციური ბრენდირებისა და კომუნიკაციის სტრატეგია.

## მეცნიერება პრაქტიკაში

პრაქტიკული გამოცდილების ჭრილში მოხსენებით წარსდგა გამოცდილი მწვრთნელი, ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი **ალექსანდრე მეჟევიძე**. მან ისაუბრა სამეცნიერო რეკომენდაციების ადაპტაციაზე უშუალოდ საწვრთნელ პროცესში და ტექნოლოგიური მონიტორინგის აუცილებლობაზე. მეცნიერების როლზე თანამედროვე მშვილდოსნობაში კომენტარი გააკეთა ფედერაციის მწვრთნელთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი გორდეზიანმა.

მეცნიერების როლზე მშვილდოსნობაში და მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციებზე საინტერესო პრეზენტაცია წარმოადგინა მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ექსპერტმა, საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელმა მენეჯერმა არტემ სანიშვილმა.

## შეჯამება

კონფერენცია დასრულდა შემაჯამებელი დისკუსიით, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნება **კონფერენციის რეზოლუცია**. დოკუმენტი გახდება საფუძველი ქართულ მშვილდოსნობაში სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის შემდგომი გაძლიერებისთვის.

[ინილეთ ვიდეო კლიპი აქ](#)

